მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერის პროგრამა - სურსათის უვნებლობა

ჩვენს შესახებ

შპს „ჯი დი სი აი“ წარმოადგენს 2006 წელს დაარსებულ საკონსულტაციო კომპანიას, რომელსაც სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის საკითხების ცოდნისა და მათი პრაქტიკული გადაწყვეტის დიდი გამოცდილება აქვს. კომპანიის დაფუძნების მთავარი მიზანია საქართველოში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის პრინციპების პოპულარიზაცია და ამ კუთხით ქართული კომპანიების დონის ამაღლება, რაც, თავის მხრივ, მათ კონკურენტუნარიანობას შეუწყობდა ხელს. გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა, შპს „ჯი დი სი აი“ სთავაზობს ქართულ კომპანიებს სურსათის უვნებლობასა და ხარისხთან დაკავშირებულ ტრენინგებს, რაც საკონსულტაციო პროექტის ნაწილია ან მისგან დამოუკიდებლად ხორციელდება. საკონსულტაციო კომპანია თანამშრომლობს როგორც დიდ, ასევე მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან.

შპს „ჯი დი სი აი“-ს კონსულტანტები, გარდა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის სისტემის სრულად შემუშავებისა (ბევრი მათგანი წარმატებით იყო სერტიფიცირებული), დაეხმარნენ დაახლოებით 100-მდე ქართულ კომპანიას საწარმოს დაგეგმარებაში ან არსებული საწარმოს გადაკეთება/რეკონსტრუქციაში საყოველთაოდ აღიარებული ჰიგიენის ზოგად წესებთან თანხვედრის მიზნით. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის საკითხებზე გამართულ ტრენინგებს კი დღემდე დაახლოებით 3000-მდე მონაწილე დაესწრო.

შპს „ჯი დი სი აი“-მ განახორციელა რამდენიმე ინიციატივა მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად იმის გათვალისწინებით, რომ მათთვის ძვირადღირებული საკონსულტაციო მომსახურების საფასური მძიმე ტვირთი არ ყოფილიყო. რამდენიმე მათგანი იყო რძის სექტორის სურსათის უვნებლობის სახელმძღვანელო, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო თხილის სექტორისთვის, ღია კარის დღეები და ა.შ., ყველა ეს აქტივობა განხორციელდა შპს „ჯი დი სი აი“-ს ინიციატივით. ამ პროგრამის ფარგლებში მცირე და საშუალო საწარმოებთან თანამშრომლობა მოხდება შპს „ჯი დი სი აი“-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც წარმატებით განხორციელდა 10-მდე კომპანიაში და ძირითადად ეფუძნება საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებს.

კომპანიებთან თანამშრომლობის წესი

წინამდებარე პროგრამა ითვალისწინებს სურსათის უვნებლობის საკანონმდებლო მოთხოვნების, კონკრეტულად ჰიგიენის ზოგადი წესების, ეტაპობრივ დაკმაყოფილებას შპს „ჯი დი სი აი“-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

აქედან გამომდინარე, თანამშრომლობაც რამდენიმე ეტაპად იქნება დაყოფილი:

ეტაპი	პერიოდი	აქტივობა
I	I თვე	1. ინფრასტრუქტურის შეფასება საქართველოს კანონმდებლობაში გათვალისწინებული ჰიგიენის ზოგადი წესის მიხედვითა და შპს „ჯი დი სი აი“-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით. კომპანიები მიიღებენ დეტალურ ანგარიშს ვიზუალური მასალის თანხლებით. 2. ეტაპობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავება კომპანიის ფლობელებთან/მენეჯმენტთან ერთად. 3. საინფორმაციო სემინარის ორგანიზება საწარმოს თანამშრომლებისთვის.
II	I-V თვე	1. საწარმოს ინფრასტრუქტურის შეფასება მე-3 და მე-5 თვეს შპს „ჯი დი სი აი“-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით 2. თანამშრომლების ტრენინგი (საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები
III	V-XII თვე	1. კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად 6 სამუშაო ინსტრუქციისა და სამუშაო ჟურნალის შემუშავება, რაც მათ დაეხმარება მართონ საკუთარი პროცესები, ისევე როგორც წარმოადგინონ მტკიცებულება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე. კონკრეტული აქტივობები დაგეგმილი იქნება საწარმოებთან უშუალო თანამშრომლობის ეტაპზე. 2. საწარმოს ინფრასტრუქტურის შეფასება გაუფრთხილებლად (მინიმუმ 3-ჯერ) შპს „ჯი დი სი აი“-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით 3. საწარმოს პროცესების შეფასება სამუშაო ინსტრუქციების შესაბამისად

კომპანიებს მომსახურება ადგილზე მიეწოდებათ მაქსიმუმ 2 თვეში ერთხელ, თუმცა, მათ შეუძლიათ დახმარება სთხოვონ კონსულტანტებს ონლაინ ან სატელეფონო რეჟიმში ნებისმიერ დროს.

პროგრამაში მონაწილე კომპანიებთან გაფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

საკონსულტაციო მომსახურების საფასური

საკონსულტაციო მომსახურების ყოველთვიური საფასური შეადგენს:

- მცირე ზომის კომპანიებისთვის (თანამშრომელთა რაოდენობა 1-5) - 250 ლარი თვეში.
- საშუალო ზომის კომპანიებისთვის (თანამშრომელთა რაოდენობა 6-10) - 350 ლარი თვეში.
- პროგრამაში მონაწილე კომპანიებმა ორ თვეში ერთხელ უნდა გადაიხადონ პროგრამაში მონაწილეობის ორი თვის საფასური წინასწარ.

პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა

პროგრამაში მონაწილეობის მსურველი კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- იყოს საქართველოში რეგისტრირებული კომპანია (შემგროვებელი/საკონსოლიდაციო ცენტრი, გადამამუშავებელი საწარმო, საზოგადოებრივი კვების ობიექტი). ამ ეტაპზე აღნიშნული პროგრამა არ ეხება სასაკლაოებს, ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებს და პირველად წარმოებას (ფერმერულ მეურნეობებს).
- თანამშრომელთა რაოდენობა არ აღემატებოდეს 10 ადამიანს.
- ჰქონდეთ მზადყოფნა გამოყონ ადამიანური და საკმარისი ფინანსური რესურსი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და მისი შემდგომი შენარჩუნებისთვის, რაც ეტაპობრივად მოხდება.
- ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა ინტერნეტთან.

შენიშვნა: აღნიშნულ პროგრამაში დონორი ორგანიზაციების დაფინანსება არ არის გათვალისწინებული.

პროგრამაში მონაწილეობის სურვილი და კომპანიების შერჩევა

1. დაინტერესების შემთხვევაში საწარმოებმა ელექტრონულად უნდა შეავსონ თანდართული განაცხადი. განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 15 ივნისი.
2. შპს „ჯი დი სი აი“-ს მენეჯმენტი განიხილავს შემოსულ განაცხადებს და შეარჩევს კომპანიებს.
   პროგრამაში კომპანიების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი იქნება რამდენიმე დაინტერესებული კომპანიის მდებარეობა ერთ გეოგრაფიულ არეალში (მინიმუმ 3 კომპანია), რომ პროგრამა კომერციულად გამართლებული იყოს. ამდენად პროგრამაში თქვენი რეგიონის სხვა საწარმოების ჩართვა მნიშვნელოვანია (აუცილებელი არ არის იყოს იგივე სექტორი).
3. პროგრამის განხორციელება დაიწყება 2017 წლის 1 ივლისიდან.

დამატებითი ინფორმაციისთვის, დაგვიკავშირდით:
შპს „ჯი დი სი აი“
ბურძგლას ქ. 74-74ა-74ბ, თბილისი 0194 საქართველო
ელ: 214 41 71 მობ: 599 95 59 58/599 15 77 83
ელ. ფოსტა: gdci@gdci.ge / tlabartkava@gdci.ge